ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

30 (9970) • 16 agvisto • 2012 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

ვანო მერაბიშვილის ვიზიტი გურიაში

გაზეთი „ალიონი“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი ამ კვირის დასაწყისში გურიას სტუმრობდა. რამდენიმე მთავრობის წევრთან ერთად ოთხწლიანი სამთავრობო გეგმის ფარგლებში „მეტი სარგებლობა ხალხს“ ადგილზე არსებულ პრობლემებს გაეცნენ. ადგილობრივ მედიასაშუალებები მოკლებულნი იყვნენ ამ ვიზიტის დეტალების გაცნობის საშუალებას, ადგილობრივი მედიასაშუალებები ფერმერებთან შეხვედრასაც კი არ დაასწრეს. ოზურგეთში, სპორტის სასახლეში გამართულ შეხვედრაზე რამდენიმე მედიასაშუალების წარმომადგენელი მხოლოდ 5 წუთით შეუშვეს დარბაზში. ამ დარბაზში გახმოვანდა სახელისუფლებო მორიგი კარუსელის შესახებ. ენერგეტიკის მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური ფინასთა მინისტრად გადაიყვანეს, ხოლო პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარე, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი ვახტანგ ბალავაძე–ენერგეტიკის მინისტრად.

პრემიერ მინიტრმა ელექტოენერგიის მერის გარდა, ამ რანგში შეხვედრაზე საკრებულოს დეპუტატები და საჯარო მოხელეები განასახირებდნენ.

მერაბიშვილმა რამდენიმე საწარმო თუ სოფელი მოინახულა.

სოფ. მაკვანეთში საკონდიტრო საწარმო „სანდომი“ დაათვალიერა. შპს „ვასაძის პურის“ ხელმძღვანელები პრემიერ-მინისტრს ქარხნის პერსპექტივებზე ესაუბრნენ და უთხრეს, რომ საწარმოში 50-მდე ადგილობრივი მუშახელია დასაქმებული და მომავალში 40-მდე საკონდიტრო ნაწარმის გამოშვებას გეგმავს.

სოფ. მთისპირში, უკანავაში პრემიერ-მინისტრმა მხარის ხელმძღვანელებთან ერთად ჰესის მშენებლობა მოინახულა. ოქტომბერში „ბახვი 3“-ის მშენებლობა დასრულდება. მომავალში აქ კიდევ ორი ჰესი აშენდება. კასკადის მშენებლობის პირველი ეტაპი 1913 წელს დასრულდება.

ვანო მერაბიშვილი მეცხოველეობის განვითარების თემითაც დაინტერესდა.

მოსახლეობაზე მიწოდების პრობლემა ალექსანდრე ხეთაგურის დამსახურებად დაასახელა, რაც მისი ფინანსთა მინისტრად დაწინაურების საფუძვლად მიიჩნია, ხოლო დალაგებული სამინისტრო ნაციონალების ახალგაზრდა ლიდერს ჩაბარა. მისი მოსაგვარებელი, ფინასთა სამინისტროს ფინასური მხარდაჭერით სტაბილური, მაღალი ხარისხის დენი იქნება.

როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, რამდენიმე ფერ-

საკრებულოს მორიგ სხდომაზე

გაზეთი „ალიონი“

საკრებულოს მორიგმა სხდომამ ოთხი საკითხი განიხილა.

პირველ საკითხი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 20-10 წლის 4 აგვისტოს №22 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“-სწრაფად მიიღეს. აქ „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის შესაბამისად რამდენიმე მუხლში ცვლილება შევიდა.

როგორც პირველი, ისე მეორე საკიტხი პეტრე სალუქვაძემ წარმოადგინა. ამჯერად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ზღვისპირა პლაჟზე მცირე ზომის გემების (კატარღა, ჰიდროციკლი, წყლის ველოსიპედი, ნავი) ბაზირების პუნქტებად შემდეგი ადგილები განსაზღვრეს– სასტუმროები: „პრემიუმის,“,„კოლხიდას,“,„ნექტარის,“ „ბერმუხას,“,„ელიტას,“ „თოლიას,“ წინ მდებარე ტერიტორიები. მის შესახებ ერთი თვის ვადაში შესაბამის სამსახურებს უნდა ეცნობოს.

მომდევნო საკითხი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებასი არსებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ საკუთრების უფლებით მიტოვების შესახებ“-თამაზ სალუქვაძემ წარმოადგინა. სოფლებში ბახვსა და ძიმითში მდებარე ადმინისტრაციული შენობებიდან 10.26 და 26. 72 კვ. მეტრი ფართი მიტოვებულად გამოცხადდა სახელმწიფოს სასარგებლოდ, შემდგომში მისი შპს „საქართველოს ფოსტის“ კაპიტალში შესატანად.

ამირან გირკელიძემ „სახელმწიფო შესყიდვების 2012 წლის გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ“-საკითხი წარმოადგინა. ამ საკითხის განხილვით ოზურგეთის 2012 წლის ბიუჯეტი და სახელმწიფო შესყიდვის გეგმა შესაბამისობაში მოვიდა, საწვავის შესყიდვის ხარჯი 4144 ლარით გაიზარდა და 141 200 ლარი შეადგინა.

სხდომაზე განცხადება გაზეთ „ალიონის“ რედაქტორმა ნუგზარ ასათიანმა გააკეთა. შემდეგ კი ოპოზიციონერმა დეპუტატმა თემურ სალუქვაძემ სოფ. ცხემლისხიდში მომხდარ ვანდალურ ფაქტის შესახებ გააკეთა განცხადება. ცხემლისხიდში, ამავე სოფლის მცხოვრებ ნუგზარ გიორგაძეს პავლონიის ნარგავები აუჩეხეს.

სალუქვაძის განცხადებით აღნიშნული

მორიგი ბრიფინგიც „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიეძღვნა

პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ოზურგეთის ოფისში ამ პარტიის გურიის ორგანიზაციის თავმჯდომარე მინდია კეჭაყმაძემ ბრიფინგი გამართა, რომელიც „ენერგო პრო ჯორჯიას“ მიეძღვნა.

–„როგორც წინა ბრიფინგებზე მოგახსენეთ, ეს კომპანია კვლავ აგრძელებს კრიმინალურ საქმიანობას. კერძოდ, ამ კომპანიის მიერ განხორციელდა მორიგი დარღვევა, რაც გამოიხატა იმით, რომ მათ 10 დღის დაგვიანებით დაიწყეს მოსახლეობიდან დახარჯული ელექტროენერგიის ამოღება.

ამჟამინდელი სახელმწიფო ტარიფი 100 კილოვატ ელექტროენერგიის მოხმარებაზე სეადგენს 13 თეთრს. 14 დღით დაგვიანება კი გამოიწვევს ტარიფის გაზრდას 17 თეთრამდე. სხვაობა არის 4 თეთრი. თუ ამას გადავიყვანთ გურიის მოსახლეობაზე, გამოდის, რომ 50 ათასი კომლიდან ეს თანხა შეადგენს სავარაუდოდ 150 ათას ლარს.

როგორც ჩანს, ეს ზედმეტი თანხა აკუმულირდება ადგილობრივ საარჩევნო ფონდში.

თუ ამ თემაზე იყო სემეკის დადგენილება, იგი უნდა გამოქვეყნებულიყო.–განაცხადა ბრიფინგზე კეჭაყმაძემ.

ბრიფინგს ელექტოენერგიის ერთ-ერთი მომხმარებელი ნოდარ თენიეშვილი ესწრებოდა, რომელსაც მისი თქმით 36 ლარის ნაცვლად 48 ლარი და 56 თეთრი ჰქონდა დარიცხული.

გაზეთ „ალიონი“ სხვა რედაქციებთან ერთად „ენერგო პრო ჯორჯიას“ ოზურგეთის ოფისში მენეჯერ გია ნაკაიძესთან მივიდა კონკრეტული ფაქტის კომენტარისთვის, რომელიც ადგილზე არ იმყოფებოდა და არც ტელეფონით დაკავშირება მოხერხდა.

„ენერგო პრო ჯორჯიას“ ახალი ქვითრით კი ის გავარკვიეთ, რომ საარჩევნოდ, დავალიანების დაფარვა, არა მიმდინარე თვის 19, არამედ 30 აგვისტომდეა შესაძლებელი.

7 დღის ამინდის პროგნოზი

16 აგვისტო ხუთშაბათი	17 აგვისტო პარასკევი	18 აგვისტო შაბათი	19 აგვისტო კვირა	20 აგვისტო ორშაბათი	21 აგვისტო სამშაბათი	22 აგვისტო ოთხშაბათი
ელ-ჭექი წვიმა +22+26	წვიმა +21+25	წვიმა +19+24	წვიმა +19+25	წვიმა +19+25	წვიმა 16+21	წვიმა +18+24

„გომისმთობა“ უბედური შემთხვევით დასრულდა

ნუგზარ ასათიანი

აჭარა გურიის ქედზე, ზღვის დონიდან 2100 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს სამთო კურორტი გომისმთა, რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის. ეს კურორტი ტყის სამკურნალო კლიმატითა და სხვა ბუნებრივი რესურსებით ასეულობით დამსვენებელს იზიდავს არა მარტო გურიიდან, ასევე აჭარიდან და სხვა რეგიონებიდან. შარშან სოფ. შემოქმედი-გომისმთის 17-კილომეტრიანი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები შპს „გზამშენი 18“-მა შეასრულა და წელს კურორტს დამსვენებელთა უფრო დიდი ნაკადი ესტუმრა.

უკვე მესამე წელია, კურორტ გომისმთაზე იმართება სახალხო დღესასწაული „გომისმთობა,“ რომელიც თანდათან პოპულარობას იძენს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტთან შექმნილია ა(ა)იპ, რომელიც სწორედ სამთო კურორტის განვითარებაზე მუშაობს. გარდა იმისა, რომ მუნიციპალიტეტი ა(ა)იპ-ს 8 თანამშრომელს აფინანსებს, დაუზუსტებელი ინფორმაციით „გომისმთობის“ ჩასატარებლად მუნიციპალიტეტმა 15 000 ლარი გამოყო.

გასულ შაბათს „გომისმთობას“ ესწრებოდნენ გურიის ეპისკოპოსი, მეუფე იოსები, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი, გურიის გუბერნატორი ვალერი ჩიტაიშვილი, ოზურგეთისა და ლანჩხუთის გამგებლები ილია ვაშაყმაძე, გია გოგუაძე, ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელები და სხვები. გაიმართა სპორტული და კულტურული ღონისძიებები.

საფეხბურთო ტურნირში აჭარა-გურიის რეგიონების 8 გუნდი მონაწილეობდა, საიდანაც ფინალში ოზურგეთის „ერთობა“ და „საამო“ გავიდნენ. მკლავჭიდში 3 წონით კატეგორიიდან ორში აჭარის წარმომადგენლებმა იმარჯვეს, (ოზურგეთელთაგან მძიმე წონაში შოთა ბოლქვაძემ გაიმარჯვა); ცხენოსნობაში კი ოზურგეთელთა ცხენმა „ბროლიამ“ (მხედარი ოთარ ჭელიძე) პირველობა არავის დაუთმო.

„გომისმთობის“ სტუმრებს თავისი შემოქმედება უჩვენეს ოზურგეთის კულტურის ცენტრის ანსამბლმა „ლურჯი იალქანი,“ ჩოხატაურელთა ვაზ-ბენდმა და არაერთმა ინდივიდუალურმა შემსრულებელმა აჭარიდან და გურიიდან.

მთაში ტრადიციისამებრ სტუმრებს უპატივცემულოდ არ უშვებენ და კურორტის ერთ-ერთ ლამაზ ადგილას, ნაძვნარში განსაკუთრებული სტუმრებისათვის დიდ კარავში მაგიდებიც გაიშალა.

სამწუხაროდ, „გომისმთობის“ დღესასწაული ტრაგიკულად დასრულდა. გომისმთიდან ბარში მომავალი ავტომობილის „ფორდ ექსკორტის“ მძღოლს, მდ. კალუას ხიდთან საგარაუდოდ მუხრუჭებმა უმტყუნა, გზის ნიშნულის ბოძს შეეჯახა, გზიდან გადავარდა და ამობრუნდა. ავარიის შედეგად ერთი მგზავრი (ბერიძე სოფ. შემოქმედიდან) გარდაიცვალა, ხოლო მეორე მძიმედ დაშავებული საავადმყოფოში გადაიყვანეს.

„ქართული ოცნების“ კანდიდატი შეხვედრებს მართავს

გაზეთი „ალიონი“

საარჩევნო მარათონი თანდათან ძალას იკრებს. ოზურგეთის №60 საარჩევნო ოლქში „ნაცმოძრაობის“ სავარაუდო მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი რამაზ ნიკოლაიშვილი ჯერ-ჯერობით სახელმწიფო რესურს იყენებს და ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული ღონისძიებებზე ხვდება ხალხს, ხოლო კოალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ყოფილი დიპლომატი ზვიად კვაჭანტირაძე უკვე აქტიურ საარჩევნო ფაზაშია და ყოველდღიურად მართავს შეხვედრებს. 9 აგვისტოს, დაბა ურეკში მასთან შეხვედრაზე ასეულობით ურეკელი დაესწრო. მას შემდეგ, რაც ამ შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილი მოვიდა, დამსწრეთა რაოდენობამ ათასს გადააჭარბა.

სოფ. ნაგომარში ზვიად კვაჭანტირაძესტან შეხვედრაზე უამინდობის გამო, მართალია 50 ამომრჩეველი მივიდა, მაგრამ იმდენად იყო დამსწრე საზოგადოება ოპოზიციონერ დეპუტატობის კანდიდატთან შეხვედრის წყურვილით შეპყრობილი, დიალოგი 2 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, ხოლო სუფსისგაღმა სოფელ ძიმითში კვაჭანტირაძესთან შეხვედრას 100-ზე მეტი ამომრჩეველი დაესწრო.

– ჩვენი ახალგაზრდობა თურქეთშია ჩაის საკრეფად წასული, თორემ თქვენს შესახვედრად ერთი ამდენი მაინც მოვიდოდა, უთხრეს დეპუტატობის კანდიდატს სოფ. ძიმითში.

რა არ აწუხებს სახელმწიფოსგან მიტოვებულ სოფლებს: სახელმწიფოსგან მოხსნილი სოციალური ვალდებულებები, გამოკეტილი სახლები, სოფლებიდან უცხო ქვეყნებში საშოვარზე გადახვეწილი ქალები და ახალგაზრდები; სათანადო ტექნიკის არქონის გამო დაუმუშავებელი ბაღები და ყანები, სოფლის განვითარების პროგრამით გათვალისწინებული უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები; თხილის დაბალი ფასები; მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლების უმოქმედობა; მმართველი პატიის მიერ ამომრჩევლებზე განხორციელებული ირიბი თუ პირდაპირი ზეწოლა და ა.შ.

–63 წლის კაცი ვარ. ავად ვარ, უწამლოდ არ ვვარგივარ. მედიკამენტებზე კატასტროფიული ფასებია. კვირაში 40-50 ლარის წამალი მჭირდება. მივაღწევ კი პენსიამდე რომ ჯანდაცვის დაზღვევა მივიღო?–თავისი გულისტკივილი გამოხატა ნაგომრიელმა ელდარ კალანდაძემ.

რაც მთავარია, ამომრჩევლები უფრო აქტიურნი გახდნენ, მათ ბევრი კითხვები დაუგროვდათ, რომლებსაც 1 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებმა უნდა გასცეს პასუხი.

* * *

ორშაბათს ზვიად კვაჭანტირაძე სოფლების ჭანიეთის და მაკვანეთის მოსახლეობას შეხვდა. თითოეულ შეხვედრას 100-ზე მეტი ადამიანი დაესწრო, რაც კარგ ციფრად უნდა ჩაითვალოს ზაფხულის ამ პერიოდისთვის ოპოზიციური დეპუტატისთვის. აქაც შეხვედრები 2 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა.

რაც ასევე აღსაღნიშნავია, ზვიად კვაჭანტირაძე, გარდა იმისა, რომ კარგი ორატორია, გამოსვლებში ძალზე კორექტურია. აქაც მოსახლეობას მოუგვარებელი პრობლემები (გაზი, წყალი, გზა) აწუხებთ და ქვეყანაშინ შექმნილი მძიმე სოციალური ფონი, რაც მათი აზრით ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის შედეგია.

ზვიად კვაჭანტირაძემ აღნიშნა, რომ შპს „ვასაძის პურის“ მიერ სოფ. მაკვანეთში აგებული საკონდიტრო საამქრო იშვიათი გამონაკლისია გურიის სოფლების სინამდვილეში. მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში სხვადასხვა პროფილის მცირე საწარმოები ყველა სოფელში გაიხსნება და ადგილობრივი მუშახელი დასაქმდება.

* * *

ადგილობრივ მედიას სათანადო რესურსის არქონის გამო გაუჭირდება საარჩევნო მარათონის გააქტიურების შემდეგ საპარლამენტო კანდიდატების ყველა შეხვედრაზე დასწრება. სამაგიეროდ ამის რესურსი აქვს „ინფო 9“-ს და მედიაჯგუფს, რომლებიც ყველა ღონისძიებებს ესწრებიან.

მაკვანეთში შეხვედრისას, მედიაჯგუფის ჟურნალისტმა ანა ბორჩხაძემ, მას შემდეგ რაც ზვიად კვაჭანტირაძემ მას დაუსვა შეკითხვა, რომ ამდენი შეხვედრა გადაიღეს და რომელ არხზე გადასცეს თუნდაც ერთი სიუჟეტი, – უპასუხა, რომ ეს ზეწოლას ნიშნავსო...

ჟურნალისტებს მდგომარეობა ურთულდებათ

ნუგზარ ასათიანი

ეს თემა არახალია. ბოლო წლებში გაზეთმა „ალიონმა“ არაერთი დარტყმა და შევიწროება იწვნია. გარდა ფინანსური პრობლემებისა, ჟურნალისტებისათვის თანდათან რთულდება ინფორმაციის მოპოვება. საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, განათლების მინისტრის და სხვა დიდი ჩინოვნიკების ვიზიტებს მხოლოდ ხელისუფებისათვის მისაღები მედიასაშუალებები აშუქებენ.

გაზეთ „ალიონს“ ხელოვნურად კვლავ ურთულდება ფინასური მდგომარეობა. თუ შარშან „ალიონის“ გამოწერა ძირითადად საგანმანათლებლო დაწესებულებს უზღუდავდნენ, წელს ეს მითითება ჩინოვნიკებს და ცალკეულ ბიზნესმენებსაც აქვთ.

მაგალითად, სახელმწიფო არქივის სათაო ოფისმა რედაქციას წლის დასაწყისში ოფიციალურად გაფორმებული ხელშეკრულების გაუქმება თებერვლის თვეში მოსთხოვა.

სიიპ სურსათის სააგენტოს გურიის რეგიონალური სამმართველოს უფროსად კახა თავბერიძე არც თუ დიდი წინ დანიშნეს. ამ სამსახურთან ჟურნალისტებს მუდამ კარგი ურთიერთობები ჰქონდათ, რაც მათგან კონკრეტულ თემებზე კომპენტენტური მასალების და საზოგადოებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებაში გამოიხატებოდა. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში მოსახლეობას ნაკლებად მიეწოდება მასალები თუ რა კეთდება ამერიკული თეთრი პეპელას წინააღმდეგ ბრძოლისათვის, როგორაა უსაფრთხოდ დაცული ჩვენი ბაზარი უხარისხო ხორც-პროდუქტებისაგან და ა.შ.

კახა თავბერიძემ რამდენიმე თვის წინ თანამშრომლებს გაზეთ „ალიონის“ გამოწერა შეაწყვეტინა.

–„ერთი გაზეთიც“ გვეყოფა. ყველა წავიკითხავთო –იყო მისი არგუმენტი. გაზეთის ხელმოწერა ნებაყოფლობითია და არც რაიმე საყვედური გვითქვამს.

რედაქციას სანდო წყარომ აცნობა, რომ მაის-ივნისში შესაბამისი სამსახურის უყურადღებობით გათამამებულებმა ოზურგეთის ხორცის რამდენიმე სავაჭროში ცოფის ვირუსით დაინფიცირებული საქონლის ხორცი გაიყიდა. (გაზ. „ალიონი,“ №22, გვ.4) დასახელებული იყო სოფლები, სადაც დაინფიცირებული საქონელი დაკლეს (ამ საკითხის დაზუსტებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს ერთ-ერთი სამსახურიც იყო დაინტერესებული). ვიფიქრეთ, ამ ინფორმაცის სურსათის უვნებლობის სამსახური გამოეხმაურებოდა, მაგრამ კახა თავბერიძემ ეს ინფორმაციაა „გაატარა.“

ამონარიდი გაზეთ „გურია ნიუსში დაბეჭდილი სტატიდან „საკრებულოს სხდომაზე ჟურნალისტის განცხადება გაჟღერდა“,) –„სხდომის ბოლოს, ჟურნალისტმა ნუგზარ ასათიანმა, შეპირებისამებრ, სიტყვა ითხოვა: –„ჩვენ არასდროს დაგვიძალებია დეპუტატებისათვის გაზეთის გამოწერა. ნაწილს აქვს გამოწერილი, ნაწილს –არა. მიგვაჩნია, რომ ეს არის ნებაყოფლობითი პროცესი, თუმცა, ახლა დაიწყო პროცესი, რის გამოც შეზღუდულია ადგილობრივი მედიის გამოცემა.“

ნუგზარ ასათიანმა დასტურად მოიშველია მცენარეთა დაცვისა და სურსათის უვნებვლობის სამსახურის უფროსის, კხა თავბერძის ქმედება, რომელმაც „ალიონის“ გამოწერაზე უარი განაცხადა:– მან მითხრა, რომ მე არანაირ ადგილობრივ მედიას არ გამოვიწერო. ჩვენ ვართ საარჩევნო პროცესში და მიმაჩნია, რომ მედიის და საჯარო სამსახურების ურთიერთობა იყოს ჯანსაღი, არ ვამბობ, ამ ყველაფრის უკან დგას საკრებულო, მაგრამ ისეთი პროცესი არის, რომლის უკან დგას გარკვეული საზოგადოება,– თქვა სათიანმა და საკრებულოს და დეპუტატებს სთხოვა, რომ მიაქციონ ყურადღება, რათა ეს საკითხი დარეგულირდეს.“ (ავტორი მარინე ჩიხლაძე, გაზ. „გურია ნიუსი,“12 აგვისტო, 2012 წ. №64).

მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო არჩევნების დაწყებიდან ორი კვირა გავიდა, ხელისუფლებას ადგილობრივ მედიასთან დამოკიდებულების აღებული კურსი არ შეუცვლია და როგორც ერთ-ერთმა გაზეთის კეთილისმსურველმა გვითხრა, „ალიონის“ წინააღმდეგ 2007 წლის საპრეზიდენტო არჩევნების სცენარს ამზადებენო.

ამ სცენარით ნაციონალებმა ბოიკოტი გამოუცხადეს გაზეთ „ალიონს, “არანაირი რეკლამა არ განათავსეს. ბუნებრივია დაირღვა რეკლამების განთავსების ბალანსი ოპოზიციის სასარგებლოდ. მაშინ საქმეში ძალოვანი სტრუქტურები ჩართეს და გაზეთის დაშინებას შეეცადნენ.

თუ რატომ სურთ ეს გზა ხელისუფლებას, ეს ზოგიერთი მაღალჩინოსნის პირად ანგარიშსწორების გეგმაში უნდა ვეძიოთ.

იქნებ ვცდებით, და ამ ბოლოს ეკლესიასთან დაახლოებულმა ჩინოვნიკებმა არა ძალადობაზე, არამედ ყველა მედიასაშუალებასთან ცივილურ, თანაბარ ურთიერთობებზე იფიქრონ...

ტრისტან სიხარულიძე 75 წლისაა

გურული ხალხური სიმღერების უბადლო ოსტატს ტრისტან სიხარულიძეს 17 აგვისტოს დაბადებიდან 75 წელი უსრულდება.

იგი გურიის იმ ლამაზი სოფლიდანაა, რომელმაც საქართველოს ხალხური სიმღერების არაერთი გამორჩეული ოსტატი მისცა. სახელოვან მაკვანეთელთა კოჰორტას სიხარულიძეების გვარიც ამშვენებს. ტრისტანის მამა ილარიონი გურული ხალხური სიმღერების სახელოვანი შემსრულებელი იყო. მას წელს დაბადებიდან 110 წელი შეუსრულდებოდა. ტრისტან სიხარულიძე ერქომაიშვილის გვარის ღირსეულ წარმომადგენელ, ამ მხარის მეისტორიის ანზორ ერქომაიშვილის თანატოლია ამ ორმა ნიჭიერმა ადამიანმა დიდი ამაგი დასდეს გურულ ხალხურ ფოლკლორს.

1947 წელს, 10 წლის ასაკში ანზორთან ერთად ვლადიმერ ერქომაიშვილმა მიიწვია ანსამბლში და საქართველოს III ოლიმპიადაში მონაწილეობდნენ.

–„ვლადიმერმა „შვიდკაცა“ დამაწყებინა. ანზორი მოკრიმანჭულე იყო. ბანს ქალი ამბობდა. დარბაზი ტაშით დაინგრა. მე და ანზორს ტაშის შეგვეშინდა და კულისებში გავიქეცით. ლადიკო კულისებში შემოვიდა და გვითხრა:

–ბაბუებო, ეს ტაში თქვენ გეკუთვნით და თქვენ სად გარბიხართო... ხელი მოგვკიდა და სცენაზე დაგვაბრუნა. მაჯის საათებით დაგვაჯილდოეს.“–იხსენებს ტრისტანი.

დაამთავრა მაკვანეთის საშუალო სკოლა, შემდეგ ჩაის ტექნოლოგიური ტექნიკუმი.

ტრისტანი 1961-67 წლებში, როგორც გურული სიმღერების მცოდნე, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში გამოდიოდა.

ოზურგეთში ამ დროისათვის მიხეილ შავიშვილის სახელოვანი „შვიდკაცა“ „ბობოქრობდა.“ ტრისტანი ოზურგეთში დაბრუნდა და „შვიდკაცას“ წევრი გახდა. მას შემდეგ 45 წელია იგი ამ ანსამბლშია.

საბჭოთა კავშირის ეპოქაში ძნელი იყო საზღვარგარეთ გასტროლებზე წასვლა, მაგრამ „შვიდკაცამ“ 1970 წელს იტალიაში (სიცილია) გასტროლების დროს აჩვენა თუ როგორ ფენომალური იყო ქართული ფოლკლორი. ამას მომდევნო წლებში შოტლანდიაში გასტროლები მოჰყვა და „შვიდკაცამ“ გზა გაიკაფა უცხოეთისაკენ.

ბატონ ტრისტან სიხარულიძის თქმით „შვიდკაცასთან“ერთად 25 ქვეყანა აქვს მოვლილი. იმის გამო, რომ მიხეილ შავიშვილს ჯანმრთელობის მდგომარეობა შერყეული ჰქონდა არ შეეძლო უცხოეთში წასვლა, ანსამბლი უცხოეთში ტრისტანის ხელმზღვანელობით მიემგზავრებოდა. ასე მოიარეს მათ ბელგია, ესპანეთი, ჰოლანდია, საბერძნეთი, ეგვიპტე და სხვა ქვეყნები. 1999 წლიდან ტრისტან სიხარულიძე ოფიციალურად უძღვება „შვიდკაცას.“

გასული საუკუნის 80-იან წლებში ვლადიმერ ერქომაიშვილმა გურული ხალხური სიმღერების აღმდგენი სკოლა-ანსამბლი „ელესა“ შექმნა. მან მხცოვან მომღერლებთან ერთად ანსამბლში ახალგაზრდა მომღერლებიც მოიწვია და ცალკე გამოჰყო „ახალგაზრდა ლოტბართა ანსამბლი.“ ამ ანსამბლში გაერთიანდნენ: ანზორ ტუღუში, ტრისტან სიხარულიძე, გელა ცელაძე, ვასო ცეცხლაძე, ამირან გოლიაძე, ჯემალ ჭელიძე და სხვები. ისინი უმეტესად იმ ტრადიციულ საგალობლებს გალობდნენ, რომელსაც საბჭოთა იდეოლოგია კრძალავდა.

გარდა ამისა, ტრისტანმა 80-იანი წლების ბოლოსოზურგეთის სახელმწიფო თეატრში ანსამბლი „სახიონი“ შექმნა და თეატრის დასთან ერთად (მმართველი ვასილ ჩიგოგიძე) იყვნენ გასტროლებზე უნგრეთსა და გერმანიაში.

ოზურგეთში მიხეილ შავიშვილის“ მიერ შექმნილი ბავშვთა ანსამბლი „კრიმანჭული“ ტრისტანმა აღადგინა და ამჟამად აგრძელებს მუშაობას.

2003 წელს ანზორ ერქომაიშვილის ინიციატივით ოზურგეთში ახალგაზრდა ლოტბართა სკოლა შეიქმნა, სადაც მან 10 ლოტბარი აღზარდა.

გარდა „შვიდკაცასა“ ძალიან პოპულარულია ტრიო „შალვა ჩემო,“რომელსაც შარშან ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰქონდა გასტროლები.

არას ვამბობთ იმ უცხოელებზე, რომლებიც ქართულ ფოლკლორეს სწავლობს და საქართველოში მასწავლებლად ტრისტან სიხარულიძე ეგულებათ.

სასწავლებელში I კურსზე იყო ტრისტანი, გულის სწორი რომ აირჩია. ტრისტანის და რუსუდანის ქალიშვილი მაია თბილისში ცხოვრობს. შვილიშვილი თეკლა „იმედის“ მაყურებლის ცნობადი სახეა პოპულარული სერიალიდან „შუა ქალაქში.“

ვაჟიშვილის ზაზას შვილები ილია და ლევანი მღერიან. ლევანი კარგი მოკრიმანჭულეა.

17 აგვისტოს ისინი სახელოვან ბაბუას დაბადებიდან 75 წელს მიულოცავენ.

„გლობალ ტვ“-ს სატელიტური ანტენის დადგმის გამო სამსახურიდან გაათავისუფლეს

ნუგზარ ოთარიშვილი

სოფ. მაკვანეთში გვითხრეს, რომ ლილი ცხომელიძე-გოგიჩაევას „გლობალ-ტვ“ სატელიტური ანტენის დადგმა სამსახურის დაკარგვის ფასად დაუჯდა.

– ოჯახში 8 სული ვართ. აქედან სამი შვილიშვილი მცირეწლოვანებია, შესაბამისად 8, 3, 1 წლისანი არიან. მეუღლე ხაზბი გოგიჩაევი მჭედელია, მაგრამ სოფლის სამჭედლო ერთი წელი გაჩერებული იყო,–ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა. ამ რამდენიმე თვის წინ გამიმართლა და შპს „ვასაძის პურის“ მიერ გახსნილ საკონდიტრო საამქროში დავიწყე დამლაგებლად მუშაობა. ძალიან კარგი კოლექტივი იყო, ჩემს სამუშაოს კარგად ვასრულევდი. ხელფასი 200 ლარი მქონდა. ყველაზე უფრო ის მიხაროდა, რომ შვილიშვილებისათვის იაფად შეძენილი მეორადი საკონდიტრო ნაწარმი მიმქონდა.

ერთ დღეს სახლში რომ მივედი, „გლობალ ტვ“ სატელიტური ანტენა დამხვდა დადგმული.

–შვილებო ეს კარგად არ დამთავრდება მეთქი–ვუთხარო ოჯახის წევრებს.

–რას ამბობ დედა, ქვეყანამ დაიდგა, დავიღალეთ საღამოობით მხოლოდ სერიალების ყურებით, რაიმე სპორტულ და სხვა გადაცემებს ვნახავთო...

მეორე დღეს ხელფასის დღე იყო. სამსახურში მისულს იმ თვის ანაზღაურება მომცეს და საამქროს უფროსმა გოჩა სალუქვაძემ გამომიცხადა, სამსახურიდან თავისუფალი ხარო.

სახლში რომ მივედი, შვილიშვილებმა ნამცხვარი მომთხოვეს, ცრემლები წამსკდა...

ამ ამბის შემდეგ ერთ თვეზე მეტი გავიდა. სოფლის ხელმძღვანელები დაგვეხმარნენ და სამჭედლოში შუქი აღადგინეს. ახლა ამ სამჭედლოს იმედზეა ამხელა ოჯახი. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკაში არ ვერევი, მეშინია, კვლავ რაიმე არ დაგვიშაონ. რა უნდა ვუყო პატარებს?– გვითხრა ქალბატონმა ლილიმ.

მინისტრი ასე არ უნდა მსჯელობდეს!

საქართველოს ახლად დანიშნული მინისტრი ბ-ნი პაატა ტრაპაიძე, ამაყად აცხადებს „მე გურული ვარო". რატომ არ იცის მან გურიის რეგიონის პრობლემები, ან დღემდე რატომ არ დაინტერესებულა?

დამაფიქრებელია ბ-ნი მინისტრის გამონათქვამი: „გურია რთული რეგიონია და ყველა გურული პოტენციური პრეზიდენტია. თუ გურიაში გამოგვივიდა რაიმე, მაშინ სხვა რაიონებშიც გამოგვივაო".

ამასთანავე მოჰყავს ამერიკის, ისრაელისა და ბალტიისპირეთის მაგალითები, რომ „ვისაც 2500 კვმ. მიწა აქვს ის უმუშევრად არ ითვლებაო. იქ როცა შრომის ბირჟებს ქმნიდნენ, ჩვენთან ქვებს ესროდნენ ერთმანეთსო". ქართველი გლეხის მრავალსაუკუნოვანი მიწასთან შრომის კულტურა ვითომ აღარ არსებობს.

აშკარად ცდილობთ ქართული ტრადიციების დაგმობას, როცა ამბობთ: „ 5-6 საათი ქართველები სხედან რესტორნებში - 1000 სულიან ქელეხებზეო" - მგონი თბილისში მაცხოვრებელ ნაციონალურ ელიტას გულისხმობთ. ჩვენს რაიონში მაგის საშუალება არავის არ აქვს. წარმოიდგინეთ დარბაზიც კი არ არსებობს შესაბამისი. გირჩევთ კარგად შეისწავლოთ ქართული ტრადიციები და ნუ შეეცდებით მის უგულებელყოფას. რაც შეეხება ქვების სროლას ეს სოფელ მერეთიდან და კარალეთიდან დაიწყო ნაციონალებმა. უხერხულია, როცა ამბობთ, ვისაც - 2500 კვმ მიწა აქვს, თითქოს მას ცხოვრების კარგი პირობები ჰქონდეს და უმუშევართა 80% - იან ამალაში არ ირიცხებოდეს. გურულები სხვების მსგავსად საზღვარგარეთაა გასული ლუკმა - პურის საშონევლად. იცით რატომ? ჩვენს მიერ წარმოებული სასუქი(აზოტი). ჩვენთან 40 ლარი ღირს, თურქეთში მისი ნახევარი. ასევეა შხამ ქიმიკატებზე, გაზზე, დენზე, საწვავზე და ა.შ. ყოველივე ამის შედეგია, რომ რაიონის ეკონომიკის დონე მოსახლეობის საარსებო მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებს. რაიონში მცხოვრები - 80 ათასი კაციდან - 90% სოფლის შინამეურნეობაში მცხოვრები მოსახლეობაა.

თუ 1990 წლამდე სასოფლო - სამეურნეო - სავარგულის გამოყენება 27 ათას ჰექტრამდე იყო, ამჟამად - 12 ათასი ჰექტარია. ანუ ადრინდელის მხოლოდ ორი მეხუთედი. დამუშავებული მიწები - 42 ათასი ჰექტრიდან თითქმის ორჯერ შემცირდა და შეადგინა - 26 ათასი ჰექტარი.

ოზურგეთის რაიონში ამჟამად სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულება - 40-50 მილიონ ლარს არ აღემატება, რომელიც ფაქტიურად ჩამოუვარდება ოთხმოცდაათიანი წლების მაჩვენებელს 10-ჯერ და უფრო მეტად.

ყოველწლიურად რაიონში სარეალიზაციო ბაზის უქონლობის გამო ფუჭდება(ლპება) - წარმოებული ციტრუსის - 80%, ხილის - 90%.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ბ-ნო მინისტრო უმუშევრობა გაუნათლებლობის, ცოდნის ნაკლებობის შედეგი კი არ არის, არამედ მთავრობის არაეფექტური, უსუსური არაკვალიფიციური აგრარული, არასწორად გატარებული პოლიტიკის შედეგია და გთხოვთ მოსახლეობასთან შეხვედრისას მომავალში ეს გაითვალისწინოთ

გურამ ცერცვაძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა

ქანი კალანდაძის ხსოვნის ტურნირზე ჩოგბურთში

თითქმის ერთ კვირას მიმდინარეობდა ჟანი კალანდაძის სახელობის მემორიალური ტურნირი ჩოგბურთში, რომელშიც 20 მოყვარული ჩოგბურთელი მონაწილეობდა. ტურნირი დაძაბულად წარიმართა და გამოიკვეთა ორი ლიდერი, ირაკლი გელაშვილი და მამუკა ასათიანი, რომლებიც ფინალში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

ფინალში მართალია თავდაპირველად მამუკა ასათიანი დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ უფრო გამოცდილმა გელაშვილმა იმარჯვა (3:6, 6:3, 6;4) და ზედიზედ მესამედ დაეუფლა ჟანი კალანდაძის გარდამავალ თასს და მისი საკუთრება გახდაამ ტურნირზე შპს „ვასაძის პურს“ დაწესებული ჰქონდა მათი ორგანიზაციის სახელობის თასი, რომელიც ასევე გამარჯვებულს გადაეცა.

ტურნირს ადგილობრივი ხელისუფლებიდან ყურადღება არ მიჰკლებია და უახლოეს დრეებში იწყება სკოლის ღია პირველობა შერეულ წყვილებში, რომელიც ასევე ერთ კვირას გასტანს.

მამუკა პილაძე

დვაბზუს სტადიონს რეზიკო ღლონტის სახელი მიენიჭა

ამ რამდენიმე თვის წინ ქ. სენაკში ტრაგიკულად დაიღუპა ოზურგეთის რაიონის სოფ. დვაბზუს მკვიდრი რეზიკო ღლონტი. იგი ამ სოფლის სამაგალითო ახალგაზრდა იყო.

14 აგვისტოს სოფ. დვაბზუში გაიხსნა რეაბილიტირებული სტადიონი, რომელსაც რეზიკო ღლონტის სახელი მიენიჭა. სტადიონის გასნის ცერემონიალს სოფ. დვაბზუს და მიმდებარე სოფლების ახალგაზრდები დაესწრნენ. სიტყვა წარმოთქვა სოფლის გამგებელმა ვაჟა მახარაძემ.

იმავე დღეს დაიწყო რეზიკო ღლონტის მემორიალური ტურნირი ფეხბურთში, სადაც 7 გუნდი მონაწილეობს. კენჭისყრით პირველ დღეს ნასაკირალის და ცხემლისხიდის გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს.

ტურნირი ერთ კვირას გასტანს.

სს "საქართველოს ბანკი" აცხადებს ვაკანსიას ოზურგეთში გაყიდვების მენეჯერის თანამდებობაზე

ძირითადი მოვალეობები:

1. ბანკის პოტენციური მომხმარებლებისთვის განვადების პროდუქტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
2. მომხმარებლებისთვის განვადების პროდუქტების შეთავაზება და განვადების პროცედურის განხორციელება.

სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

განათლება: უმაღლესი - სასურველია ფინანსები, ეკონომიკა, საბანკო საქმე, ბიზნეს ადმინისტრირება;

სამუშაო გამოცდილება: სასურველია, მაგრამ არასავალდებულო გაყიდვების და/ან მომსახურების სფეროში მუშაობის გამოცდილება.

აუცილებელი ცოდნა და უნარები:

1. კომპიუტერული პროგრამები: **MS Office (Word, Excel, Power Point), Internet);**
2. სასურველია ინგლისური და რუსული ენების ცოდნა;
3. მომსახურების და გაყიდვების კარგად განვითარებული უნარები;
4. კომუნიკაბელურობა, ორგანიზებულობა, გუნდური მუშაობის უნარი;
5. პასუხისმგებლობისა და კონფიდენციალობის დაცვის უნარი;
6. ყურადღება დეტალების მიმართ, ემოციური წონასწორობა.

დაინტერესებულ კანდიდატებს გთხოვთ გამოაგზავნოთ სს "საქართველოს ბანკის" სააპლიკაციო ფორმა (შეგიძლიათ აიღოთ მისამართზე: ოზურგეთი, გურიის ქ. №18, სს "საქართველოს ბანკის" ოზურგეთის სერვისცენტრი) ელექტრონული ფოსტით მისამართზე: regionjob@bog.ge (გამოგზავნის შემთხვევაში გთხოვთ მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება,

წინაალმდეგ შემთხვევაში თქვენი მონაცემები არ განიხილება)

მონაცემების დატოვება შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე:

ოზურგეთი, გურიის ქ. №18, სს "საქართველოს ბანკის" ოზურგეთის სერვისცენტრი

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 22 აგვისტო, 2012 წელი.

ვულოცავთ!

ჩვენს საყვარელ, საამაყო ბიძას, ამირან მამულაიშვილს ვულოცავთ დაბადებიდან 80 წლის იუბილეს. ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ულევ სიხარულს და სიყვარულს ჩვენი ოჯახის სასიხარულოდ.

ღვთის მადლი და კურთხევა არ მოკლებოდეს შენს ლამაზ ოჯახს პატარა ამიკოსთან ერთად.

ციცინო, მურადი პაპავები.

ჩემო მამა!

გილოცავ დაბადების დღეს. მეამყება რომ კაცურად მოაბიჯებ ამ წუთისოფელში. არა მარტო ოჯახის, მთელი სოფლის სიყვარული გაქვს ძვალსა და რბილში გამჯდარი და ამას შენს შემოქმედებაში ასახავ.

როცა გურიაში ჩამოვდივარ, ვიცი ჭიშკართან აღარ შემეგებება ჩემი ღიმილიანი დედა და საამყო რძალი, მაგრამ შენ, ჩემს ძმა ნიკოსთან და პატარა ამუკასთან ერთად გვახვედრებ დიდ სითბოს, რომელიც გვინდა დიდხანს გვხვდებოდეს.

ღმერთმა ჯანმრთელობა, სიძლიერე მოგცეს, ჩემო მამიკო!

შენი ნანა,
დაბა ბაკურიანი.

ექიმებმა გადაარჩინეს

13 აგვისტოს, ღამის პირველ საათზე სოფ. ბახვში სასაწრაფო დახმარების ბრიგადე გამოვიძახეთ. მათ კრაზანას ნაკბენისაგან შოკურ მდგომარეობაში მყოფი ალექსანდრე ასათიანი გადაარჩინეს.

მთელი ოჯახის სახელით მადლობას ვუხდით სასწრაფო დახმარების ბრიგადის წევრებს, ექიმ ოლეგ ტვილდინას და მის თანაშემწე ნინო ბიბილეიშვილს.

ღმერთმა თქვენი დროული ხელი არავის მოაკლოს. მადლობას გიხდით გაწეული დახმარებისთვის.

ასათიანების ოჯახი.

სოფ. ბახვი

გახსენება

აკაკი მჭავანაძე

ორ წელზე ცოტა მეტი დრო გავიდა, რაც ოზურგეთის საზოგადოებამ დაჰკარგა ღირსეული მამულიშვილი, ერუდირებული და ზნეკეთილი პიროვნება, საუცხოო ოჯახის მამა და მეუღლე აკაკი ვასილის ძე მჭავანაძე.

ბატონი აკაკი თავისი ცოდნით, გულისხმიერებით ნებისმიერ ადამიანზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა.

არაერთი ტიტულის და ჯილდოს მფლობელი გახლდათ: ეკონომიკურ მეცნიერებათა ასოცირებული დოქტორი, საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი; ოთხი ორდენის, მათ შორის ღირსების ორდენის მფლობელი.

საინტერესო ცხოვრების გზა განვლო ბატონმა აკაკიმ. დაიბადა სოფ. შრომაში. მშობლები მუსიკალური ნიჭით იყვნენ დაჯილდოებულნი, რამაც მასზედ დიდი გავლენა მოიახდინა და მღეროდა იმ გუნდში, რომელსაც დიდი ლოტბარი არტემ ერქომაიშვილი ხელმძღვანელობდა. იმდენად ღრმად ჰქონდა ძვალსა და რბილში გურული სიმღერების სიყვარული, შემდგომში მან რამდენიმე სიმღერა შექმნა.

მამა 1943 წელს II მსოფლიო ომში მიღებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა. დედამ –თამარ ხუხუნაიშვილმა სამთავე შვილი ღირსეულად აღზარდა და უმაღლესი განათლება მიაღებინა.

ბატონი აკაკი ამ დროისათვის ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტზე სწავლობდა. აჭარის სახალხო კომისრის, ნადიმ ნიყარაძის ბრძანებით იგი მაღალმთიანი ხულოს რაიონის დანისპარაულის შვიდწლიანი სკოლის დირექტორის თანამდებობაზე დანიშნეს, სადაც მან ორი წელი იმუშავა.

ოჯახური მდგომარეობის გამო იგი ოზურგეთში დაბრუნდა. მუშაობდა ნატანების ჩაის მეურნეობაში აგროტექნიკოსად, ხელმძღვანელობდა ახალგაზრდულ ორგანიზაციაც. შემდეგ კომკავშირის ოზურგეთის რაიკომში ინსტრუქტორად დანიშნეს.

ბატონი აკაკისათვის ღამაზი მოსაგონარი იყო ოზურგეთის რაიონულ გაზეთ „ლენინის დროშაში" გატარებული 2 წელი, სადაც იგი ლიტმუშაკად მუშაობდა.

1946 წელს, 21 წლის ასაკში იგი დაქორწინდა ნატანებელ ლიდა (ნაზი) გუჯაბიძეზე)

გუჯაბიძეთა ამ ოჯახიდან II მსოფლიო ომში 5 ვაჟი იბრძოდა, საიდანაც მხოლოდ ერთი დაბრუნდა. ბატონი აკაკი ხშირად აღნიშნავდა, რომ მის წარმატებებში, ცხოვრებისეულ წინსვლაში სწორედ მეუღლის ღვაწლს და ერთგულებას მიუძღვოდა დიდი წვლილი.

მომდევნო წლებში ენერგიული და ნიჭიერი ახალგაზრდა პარტიის რაიკომში ინსტრუქტორად დაწინაურეს, შემდეგ რესპუბლიკის უმაღლეს პარტიულ სკოლაში ჩარიცხეს. 1952 წელს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ პარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტში ინსტრუქტორად მუშაობდა.

ორი წლის შემდეგ კვლავ ოზურგეთის დაუბრუნდა. მუშაობდა რაიკომში ინსტრუქტორად, საერთო, საორგანიზაციო განყოფილებების გამგედ. 1955 წელს რაიკომის მდივნის თანამდებობაზე დაწინაურეს, ხოლო 1961 წელს–II მდივნის.

1963 წელს დამტკიცეს პარტიულ-სახელმწიფოებრივი კონტროლის ოზურგეთის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარედ.

ბატონ აკაკის, როგორც ნიჭიერ ორგანიზატორს. ხშირად ანდობდნენ მნიშვნელოვანი მშენებლობების შტაბების ხელმძღვანელობას. იგი სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა სახელმწიფო თეატრის, 500-საწოლიანი საავადმყოფო კომპლექსის, რამდენიმე ჩაის ფაბრიკის, საბრძოლო დიდების მუზეუმის მშენებლობების შტაბებს.

1971 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1978 წელს იგი დანიშნეს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ჯერ ოზურგეთის, შემდეგ სარაიონთაშორისო განყოფილების ხელმძღვანელად. აქ მან 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი შეასრულა.

2002 წელს ბატონი აკაკი პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად აირჩიეს. შემდგომში კი ღირსების ორდენით დაჯილდოეს.

გარდა იმისა, რომ იყო საუკეთესო ოჯახის მამა, მეუღლე, მეგობარი, იგი მუდმივად იყო სხვების თანამდგომი, აქტიურად იღვწოდა პრესის სრულყოფა-განვითარებისათვის.

ათეული წლების მანძილზე ბ-ნი აკაკი ხვდებოდა საქართველოს მწერლობის და ხელოვნების სხვადასხვა დარგის თავლსაჩინო წარმომადგენლებს და მეგობრობდა მათთან. იყო კარგი თამადა და ქართული ტრადიციების დამცველი. და რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, იგი იყო ოპტიმისტი და ქვეყნისთვის მძიმე პერიოდშიც კი თანაქალაქელებს, მეგობრებს, ახლობლებს ამ ოპტიმიზმს უკეთესი მომავლისა, უნერგავდა.

დღეს იგი ზეციური საქართველოს ბინადარია. 14 აგვისტოს მისი დაბადების დღე იყო.

ოჯახი, მეგობრები.

მარცხნიდან მარჯვნივ: **ჭიჭიკო ხომერიკი, იური მგალობლიშვილი, აკაკი მჭავანაძე, კარლო სამსონია, ვახტანგ ლომჯარია, მამია ლომაძე, აფთონ გურგენიძე**

გაზეთ „ალიონის" რედაქცია იუწყება ცნობილი ლოტბარის, ანსამბლ „ლიხაურის"ხელმძღვანელის **კარლო ურუშაძის** გარდაცვალებას და თანუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru